№ 88 7 მაისი, კვირა 1866—1878 7 მაისი, კვირა № 88

ყოველ დღე ორშაბათს გარდა

# დროება

ცალკე ნომერი ღირს შაურათ

**რედაქცია:** სოლოლაკზე, სერგეევის ქუჩაზე, Ив. ამირალოვის სახლში, № 8.

**კანტორა რედაქციისა:** სერგეევის ქუჩაზე, Ив. ამირალოვის სახლში, № 8.

**ხელის-მოწერა** მიიღება კანტორაში. ბარეშე მცხოვრებთათვის: Въ Тифлисъ. Въ редакцію газ. „Дроэба“.

**გაზეთის ფასი:** მთელის წლისა—8 მან., ნახევარ წლიხა—4 მან. და 50 კაპ., ოთხის თვის—3 მან.

**განცხადება:** მიიღება ქართულს, რუსულს, სომხურს და სხვ. ენებზე.

**ფასი განცხადებისა:** ღიდი ასოებით ასოზე—1 კაპ., ახო-მთავრულით სტრიქონზე—8 კაპ., ჩვეულებრივის ცერცროთი—5 კაპ., პატარა—4 კაპ.

**რედაქციას უფლება** აქვს გასწოროს და შეამოკლოს დასაბეჭდათ გამოგზავნილი სტატიები. დაუბეჭდელი სტატიები ავტორს არ დაუბრუნდება.

## ტელეგრამმები

(ხალხთა-შორის ტელეგრაფის სააგენტოსი)

**ლონდონი**, 5 მაისს. გაზეთს „Times“-ს მოუვიდა დეპეშით პეტერბურღიდამ ამბავი, რომ ამ ჟამად მშვიდობიანობის იმედი უფრო არისო.

— რუსებმა იყიდეს ამერიკაში სამი მსწრაფლ-მოსიარულე ხომალდი; ორსაც კიდევ ჰყიდულობენ.

**პეტერბურღის ბირჟა, 6 მაისს.**

(ხალხთა-შორის ტელეგრაფის სააგენტოსი.)

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| ლონდონი— | 23 | 56 |
| ამსტერდამი— | 119— | 50 |
| ჰამბურგი— — | 200 | 50 |
| პარიჟი — — | 247— | „ |

შინაგანი: 5% სესხის ბილეთები

| | |
|---|---|
| პირველი სესხის — — | 228—50 |
| მეორე სესხის — — — | 224—75 |

ბანკის ბილეთები:

| | |
|---|---|
| პირველი გამოცემის — | 98—62 |
| მეორესი — — — — | 95—12 |
| მესამესი — — — — | 95—25 |
| მეოთხესი — — — — | 95— „ |
| აღმოსავლეთის — — | 94—25 |
| ოქრო, 1/2 იმპერიალი— | 8—44 |

## საქართველო

### ქველ-მოქმედ საზოგადოებანი

ყოველთვის და ყოველგან ასე მომხდარა და ჩვენშიაც ასე ხდება: როდესაც საზოგადოება გონებით გამოღვიძებასა და თვალების გამოჭყეტას დაიწყებს, ჩნდებიან მოწინავე პირნი ამ საზოგადოებაში, რომელნიც სხვა-და-სხვა საქმეს უფრო მომეტებულად თანაუგრძნობენ, გროვდებიან ერთად რამდენიმე ეს თანამგრძნობი პირნი და ამ ნაირად არდგენენ წრეს ანუ საზოგადოებას ხსენებული საქმის წინ წასაყვანად, წარმატებისათვის.

მე, ვთქვათ, სახალხო შკოლა კეთილ და ქვეყნის სასარგებლო საქმედ მიმაჩნია; ვპოულობ რამდენსამე პირს, რომელნიც ჩემსავით თანაუგრძნობენ ამ საქმეს, ვადგენთ საზოგადოებას და ვცდილობთ, რომ ეს შკოლის საქმე ფეხზე დავაყენოთ, კარგად წავიყვანოთ ჩვენს ქვეყანაში.

შენ გგონია, რომ სასოფლო ბანკები მარგებელია ქვეყნისათვის და ამის გამო შენც შენის მხრით შენ თანამოაზრეებს ეძებ, ერთად ჰკიდებთ ამ საქმეს ხელს, და წარმატებაში მიგყავთ.

ის დარწმუნებულია, რომ სასოფლო პურის მაღაზიები, ან საამხანაგო ყველის ქარხნები, ანუ სოფლის გზები ყველაზედ უფრო საჭიროა ხალხისათვის, და ისიც ამგვარადვე იქცევა.

რაღა თქმა უნდა, რომ ამგვარად რომელიმე საქმის წაყვანა ძალიან გონიერული მოქმედებაა, რადგან რაც ერთს კაცს არ შეუძლიან, რასაც ერთი ვერ მოახერხებს, ის შეუძლიან მოახერხოს და შეასრულოს რამდენიმე პირმა ერთად შეყრილმა—საზოგადოებამ.

ბევრი ამ გვარი საზოგადოება დაარსებულა და არსებობს ამ ჟამადაც ჩვენში. და რასაკვირველია, რომ ეს სანუგეშო მოვლენაა; ეს გვიმტკიცებს, რომ ჩვენშიაც არიან ისეთი პირნი, რომელნიც საზოგადო საჭიროებისათვის, სახალხო სარგებლობისათვის ზრუნავენ.

მაგრამ უბედურება ეს არის, რომ თითქმის არც ერთ ამ გვარ საზოგადოებას მაგრად არ გაუშლია ფესვები ჩვენში, თითქმის არც ერთი არ დამყარებულა ისე მკვიდრად, რომ საშვილი-შვილოდ, დიდი ხნით დარჩენილიყოს.

მომეტებული ნაწილი ამ გვარ ქველმოქმედ საზოგადოებათა ერთი ანუ რამდენიმე პირის თაოსნობით, დაბადებულა, პირველ ხანებში თანამგრძნობი ბევრი აღმოჩენილა, მაგრამ ბოლოს ყველას ნელ-ნელა გაგრილებიათ გული თავიანთ საქმეზე, ცოტ-ცოტათი ჩამოცლიან ამხანაგებს, დავიწყნიათ თვით საზოგადოების არსებობა, დავიწყნიათ ის მხურვალე სიტყვები, რომელიც იმათ უთქვამთ ამ საზოგადოებაში „საზოგადო ინტერესის“ მზრუნველობაზედ, „ხალხის აუცილებელ საჭიროების“ დაკმაყოფილებაზედ და სხვ. და სხვ. და ამნაირად საზოგადოება ნელ-ნელა, შეუმჩნეველად მიცვალებულა.

ბევრი მაგალითები საჭირო არ არის, მოვიყვან მხოლოთ რამდენიმეს, რომელიც ამ ჩემი სიტყვების სიმართლეს ამტკიცებდეს:

ჩემს მეხსიერებაში უკანასკნელი სამჯერ შემდგარა სხვა-და-სხვა საზოგადოება, რომლის დანიშნულება იყო, რომ უმაღლესს სასწავლებელში მოსწავლე ყმაწვილებისათვის შემწეობა მიეცა.

სად არიან ახლა ეს საზოგადოებანი?

ამ რამდენიმე წლის შემდეგ ტფილისში შესდგა „წერა-კითხვის“ გამავრცელებელი საზოგადოება, რომელმანც, თუ არ ვსცდებით, კარგა ბლომათ ფულებიც მოაგროვა.

სად არის ახლა ეს საზოგადოება?

ორი წლის წინათ ქუთაისში შესდგა წრე დამხმარებელი იქაურ სასწავლებლების ღარიბ შაგირდებისა.

სად გაჰქრა ის წრე?

სამი წლის წინათ ტფილისში დაარსდა პატარა საზოგადოება ძველი და ახალი ქართული წიგნების გამოსაცემად, ორიოდე წიგნიც გამოსცა; თანამგრძნობელი ბევრი ჰყავდა.

მაგრამ ახლა სად ქვესკნელში ჩაძვრაეს საზოგადოება?

სად არიან, რად გაიფანტნენ, სად გაჰქრნენ ყველა ეს საზოგადოებანი, ამხანაგობანი და წრენი? რატომ იმათი მოქმედების კვალი თითქმის არაფერში არ გვატყვია? რატომ ხმას აღარ იღებენ? რატომ არ აცნობებენ ისინი ქვეყანას: ცოცხალ არიან, თუ მიიცვალნენ?

მაგრამ ამის პასუხი იმათგან საჭირო არ არის; თუ ისინი ხმას აღარ იღებენ, თუ იმათი მოქმედება აღარა სჩანს, მაშ ცხადია, რომ მიცვალებულან.

აი ახლაც ერთი ძრიელ ჩინებული და კეთილ-მიზნიანი საზოგადოება არსდება ჩვენში—საზოგადოება, დამხმარებელი, ხელის-გამწყობი იმ თავად-აზნაურთა შვილებისა, რომელნიც ღარიბნი არიან და ამის გამო სწავლა ვერ მიუღიათ. მაგრამ ვინ დაგვარწმუნებს, რომ ეს სასარგებლო საზოგადოება სხვებზე უფრო ჯანმთელი და ხანგრძლივი სიცოცხლის მქონე იქნება!

რისგან არის, რომ ეს საზოგადოებანი ასე „უცბად იბადებიან ჩვენში და უცბადვე ჰქრებიან?“

ამის პასუხს შემდეგ მოგახსენებთ.

ს. მ.

## დღიური

** ქალაქში ბევრს ლაპარაკობენ ამ ჟამად ცხრა ავაზაკის ერთად დაჭერაზედ. გუშინ სალამოს ერთს ამ ავაზაკთაგანს „მოღალატეს" უცნობებია პოლიციისათვის, რომ ამაღამ ყველა ჩემი ამხანაგები შეიკრიბებიან ამა-და-ამ ტრაქტირში (ადგილი და ტრაქტირი დაუსახელებია) და თუ გინდათ, ყველას დაიჭერთო. პოლიციის აფიცერს წაუყვანია ოც-და-ხუთი დაიარაღებული სალდათი, შეუკრავს ტრაქტირი, თვითონ შესულა იქ, სადაც ავაზაკები ყოფილან და გამოუცხადებია, რომ ვინც დაინძრევით და გაქცევას მოინდომებთ, არ დაგზოგავთო. ავაზაკები დანებებულან; შეუკრავთ და ყველა პოლიციაში წამოუყვანიათ. ყველას რევოლვერი და ხანჯალი ჰქონიათ.

ამბობენ, ეს ის ავაზაკები არიანო, რომელთაც ქასუმოვი დასჭრეს და გაცარცვესო.

** „თფილისის მოამბეში" იწერებიან, რომ 4 მაისს ღამით ერთ სამხედრო მწერალს ვიღაც ავაზაკები ეცნენ ქუკის ხიდზე, ჯერ გაცარცვეს და მერე ხიდიდამ გადააგდესო. მაგრამ მწერალმა გასცურა მტკვარში (?) და ამნაირად ის ცოცხალი გადარჩაო...

„იხვი" ხომ არ არის?! . . .

** ხვალ, ოთშაბათს, ჩვენი ქალაქის რჩევაში, სხვა წვრიმალ საგანთა შორის, შემდეგ წინადადებებზე იქნება სჯა:

მოხსენება გამგეობისა ქალაქის წრეს გარეთ სასაფლაოების გადატანაზედ;

კითხვა ხმოვანის მლიმირზოევისა ქალაქის გასუფთავებაზედ;

წინადადება ხმ. სურგუნიევისა ქალაქის განათების შესახებ;

მოხსენება გამგეობისა ქალაქის მმართველობის შტატის შემცირებაზედ;

მოხსენება კომისიისა ქალაქის სახლის გადაკეთების შესახებ, და სხვ.

** ჩვენ შევიტყეთ, რომ ამ მოკლე ხანში, საქართველოს ახალი ეგზარხოსის იოანიკის მოწოდებით, ჩვენს ქალაქში ყოფილა სამღვდელოების კრება ამოსარჩევად თავის შორის რამდენიმე პირისა, რომელთაც სანთლის ფული და ეკკლესიის ზოგიერთ შემოსავალ-გასავალი უნდა ებაროთ.

** ჩვენ დაგვარწმუნეს, რომ ივრის ხეობისაკენ ამისთანა წესები ჰსუფევენ სასამართლოსაგან გამოგზავნილის უწყების ჩაბარების დროსაო:

მომრიგებელი მოსამართლე პრისტავს აძლევს უწყებებს სოფლის რომელიმე გლეხის დასაბარებლად ან დავის თაობაზე და ან მოწმად. პრისტავი სოფლის სასამართლოში ჰგზავნის თავის გზირის ხელით. აქ მამასახლისი იღებს უწყებას, აწერს ზედ ჩაიბარეო და პირს იტოვებს. შემდეგ, თუ შეხვდა ის გლეხი, რომლის სახელობაზედაც გამოუგზავნიათ უწყება, ხო კარგი, გადასცემს და გამოუცხადებს, რომ ამა-და-ამ დღისთვის დაბარებული ხარო, და თუ არა, უწყებას მიაგდებს კანცელარიაში და მოწოდებულ გლეხმა არაფერი არ იცის.

რამდენიმე დღის შემდეგ სოფელში უცბად მოდის პრისტავი და მომჩივანი ამ გლეხისა „ისპოლნიტელნი ლისტით", აწერენ ყველაფერს და ჰყიდიან,—და გლეხმა არც კი იცის—თუ იმის საქმის გარჩევა იყო სასამართლოში, თუ ის დაბარებული იყო და სხვ. და სხვ. მოწმედ დაბარებულებსაც ხშირად აგრეთვე ჯარიმას ახდევინებენ ამავე მიზეზის გამო.

კანონი ეს არის, რომ უწყებას მხოლოთ იმ პირმა უნდა მოაწეროს ხელი, რომლის სახელობაზედაც ის უწყება გამოგზავნილია, ან იმის თხოვნითვე სხვამ ვინმემ წერის მცოდნემ. მამასახლისს არა აქვს უფლება ჩაიბაროს უწყება და თუ ჩაიბარა, იმ წამსვე უნდა გადასცეს იმ პირს, ვისაც ეკუთვნის...

** გორის უეზდის სოფ. ქ—რის მღვდლის ოინებზე შემდეგს ამბავს გვწერენ:

„ვნების კვირის ოთხშაბათს ამ მღვდელთან მისულა ერთი დედა-კაცი აღსარების სათქმელად, რადგან მეორე დღეს უნდა ზიარებულიყო. მაგრამ მღვდელმა გამოუცხადა იმას, რომ არც აღსარებას გათქმევინებ და არც გაზიარებო, ამისთვის რომაო შენს დედამთილზედ დარჩა ნახევარ კოდი პურიო.

„გარდა ამისა ამ მღვდელს უკანასკნელი ათამდინ ეყოლება უზიარებელი მკვდარი."

** სურამიდამ გვწერენ, რომ ამ გაზაფხულზე აქეთკენ ხშირი წვიმები იყოვო და ამის წყალობით წელს კარგი მოსავლის პირი სჩანსო.

** მთებიდამ გვატყობინებენ, რომ ამ უკანასკნელ ხანებში ჩერქეზებმა და საზოგადოდ მთიულებმა ხელ-ახლად დაიწყეს ქურდობა და ავაზაკობაო, ხან მეცხვარეებს სცარცვენ, ხან მგზავრებს და ხან სხვებსაო.

** ჩვენ მივიღეთ ხონიდამ წერილი, რომლის ავტორი დასტირის იმ ჩალვადრების ბედს, რომელნიც ყარსისა და არზრუმისაკენ წაუყვანიათ მეიჯარადრებს. თუმცა თვეში ოთხი-ხუთი თუმანი ეძლეოდათ მაგრამ საშინელის სიძვირისა და სიცივისა გამო მომეტებულმა ნაწილმა სარგებლის ნაცვლად დიდი ზარალი ნახესო. რამოდენიმე კაცი სახადისა და სხვა ავათმყოფობისაგან დაიხოცაო და ცხენები ნახევარსაც ერ გადურჩაო. კორრესპონდენტის სიტყვით ამ დღეებში ხონში ჩამოსულა ყარსიდამ გამოქცეული ერთი იქაური ჩალვადარი, რომელიც მალე სახადით მოკვდარა, და ახლა შეშინებული ვართ—ვაი თუ ჩვენც გადაგვედვას ეს ავათმყოფობაო...

## ფელეტონი

### ჩემი ცოლი *)

(მოთხრობა თფილისის ცხოვრებიდგან)

(დასასრული)

თავბრუ დამეხვა. მე ველარც არას ვხედავ და აღარც-რა მესმის: ჩემი ყურები გაიჭედა „ფრანცუსკი" ცხვირსახოცებით და ქარვასლის ბაზრულ ფლიდ ალერსით; თვალებში მელანდება ხელცახოცები, ჩულქები, წვივ-საკრავები; როგორც ბნელაში ისე მივდივარ და აქეთ-იქით ულრინავ პრიკასჩიკებს, რომლებიც ზაფხულში გახელებული ბუზებსავით გეხვევიან და გაწუხებენ, და ვეუბნები: „მე არაფერს არ ვყიდულობ!" ის ხმები, ცივი რკინასავით ხმები, ერთ წამში გაყრიან უმრავლესს ალერსსა, როგორც სეტყვასავით მომავალი ზარბაზნის ტყვია; ამ ალერსს და ღიმილს უფასოთ გაყრიან იმ იმედით, რომ მათ უფასოთ უშოვნიათ, შენ კი ფასად დაგისვავენ....

— ოთხი და შვიდი შაური... ჭეშმარიტად მოგახსენებთ, ქალბატონო, არ შემიძლიან დაუკლო ოთხსა და შვიდ შაურს დენიშკაც. . .

— მაშ ერთს კაპეიკს მოუმატებ და გეყოფა?...

— ეჰ, ქალბატონო, ვაჭრობა გიყვარს რაღა!... ინებეთ ექვს შაურ და ოთხ კაპეიკათ..

— არა, ექვსი და ოთხი გროში, ყმაწვილო!

— ექვსი და ოთხი კაპეიკი, ქალბატონო!

— რაღა გაეწყობა, ექვსი და სამი კაპეიკი! თქვენ ქალბატონო, არ გნებავთ კაპიკიც არის ვისარგებლო, როგორ შაიძლება!... არა, ვერ მოვსჭრი!..

მაიცა!... აქ უნდა იყოს ჩემი ცოლი; მე თითქმის ძალით შევდივარ საბაზაზოში, უგონოთ, ვაპობ მოვაჭრე ქალების დასს, კიდამ ფეხ-ქვეშ არ გავსრისე კარებში მდგომარე პრიკასჩიკების შკოლის მოსამზადებელის კლასის შეგირდი—პატარა ბიჭი, რომელიც ის იყო მოემზადა, რომ ემღერა ჩემ შესამკობლად სიმღერა: სიტცი, მატერია, შტოფი!... იერიშით ვილებ საბაზაზოს და შიგ მის შუაგულში შევდივარ. მე არ მოვტყუვდი; ის იქ იყო. ჰეი, მე არას დროს არ მოვტყუვდები!...

— ოჰ ალექსანდრე ნეოფიტიჩ, აქ არ?

— აქა ვარ, სულიკო, სალომე. სახლში ვერა გნახე, აქ მაინც მოგელაპარაკები საბოლოოთ იმ ჩვენ საქმეზე...

— უი, ალექსანდრეჯან, ჩემო უძვირფასეაო საყვარელო, ბატონი მბრძანდები! მე შენ წინააღმდეგს როგორ ვიტყვი; მარამ ეხლა რომ არა მცალიან: საჩქარო საქმეა, ხომ იცი, რომ მაისის 2-ს სპარსეთის შაჰი, მობრძანდება ჩვენს ბრწყინვალე ქალაქში; ყველას გვმართებს შევიმოსნეთ და მივეგებნეთ დიდებულს ნესრ-ედდინს. პავლეს ცოლი მელანო ემზადება იმ დღისთვის, უნდა შესაფერად მოიკაზმოს და შეიმოსოს;

*) „დროება" № 87.

# ომის ამბები

## ომისთვის მზადება

ერთს ვენის გაზეთში რომიდამ იწერებიან, რომ ინგლისისა და იტალიის მმართებლობას პირობა აქვთ ერთმანეთში შეკრულიო, რომ, თუ ომი ატყდა, იტალია ვალდებული არის ინგლისის მხარე დაიჭიროსო.

—

გაზ. „Indep. Belge“-ის ბერნილენი კორრესპონდენტის სიტყვით, გრაფ შუვალოვმა თქვა თურმე ბერლინში, რომ, თუ ჩვენ (ე. ი. რუსებმა) ყველაფერი არ დაუთმეთ, რასაც ინგლისი თხოულობს, უეჭველად ომი ატყდებაო.

—

გაზეთს „Presse“-ში იწერებიან სტამბოლიდამ:

„ოსმალეთი ბოლოს, როგორც იქნა, თანხმა გახდა, რომ შუმლიდამ გაიყვანოს თავის ჯარები; მაგრამ ვარნისა და ბათუმის დათმობის შესახებ კი ჯერჯერობით ძალიან ჟარზედ დგას.“

—

„რუსის უწყებებში“ ყარსიდამ იწერებიან, რომ აქაური ოსმალოები ამ უკანასკნელ დროს ძალიან გაამაყდნენო, რუსების სრულებით აღარ ეშინიანთო, ღამე ერთი-ერთმანეთთან იკრიბებიან და რაღაც მოლაპარაკება აქვთ, რაღაცას მოელიანო. კორრესპონდენტი ამბობს, რომ ესენი ინგლისისაგან მოელიან თავის დახსნასო, ეს იმათი გაამაყება ინგლისელების ბრალი არისო.

# საბაასო

## პასუხი უ. პ. თუმანიშვილის

ჩემმა კორრესპონდენციამ „დროების“ 79 №-ში გამოიწვია უ. პ. თუმანიშვილისაგან ვრცელი ვითომ პასუხი. აბა რა პასუხია, მკითხველო, ისეთ ამბების მოყოლა, რომელნიც ჩემი კორრესპონდენციის საგანს იმდენათ შეეხება, რამდენათაც ჩემში წინანდელი და ახლანდელი წერილი შეეხება ჩინეთის სახელმწიფო კონსტიტუციას?

რამ გამოიწყვია „დროების“ 79 №-ის კორრესპონდენცია? მე ვამბობდი, როგორც ქალაქის რჩევაში შეტანილ წინადადებაში იყო ნათქვამი, რომ სახლის აშენება საჭიროა, რომ ქალაქსა და ბანკს შეუძლიათ იშოვონ ამისთვის საშუალება, მაგრამ ზოგი ერთნი პირნი წინააღმდეგობას აცხადებენ ამაზე და რატომ, რა მიზეზით, არაფერს არ ამბობენ გარდა იმისა, იმისა, რომ ქალაქისათვის ერთად ბანკის საზოგადოებასთან სახლის აშენება ძნელიაო, გამოუდეგარიაო და „ს ა ნ ა ნ უ რ ი ო“ როგორც ამბობს ახლა გაზეთში უ. პ. თუმანიშვილი.

შეიძლება ამ მოწინააღმდეგთ გულში ბევრი ბევრი საბუთები ჰქონდეთ უთანხმოებისათვის, მაგრამ ერთიც რომ ვერ მოთიყვანეს? ჩვენ რა ვუწყით, რა აქვთ იმათ გულში? ხომ მოგეხსენებათ, რომ კაცის გული და სული ისეთ სილარიბეშია, ზოგჯერ ისეთი ხვრელები აქვს, ისეთ დაფარულ არსებობას წარმოადგენს, რომ იქ ჩახედვა შეუძლებელია, თუ ენამ არ გამოსთქვა.

რომ იმ ბევრ კაცს, რომელიც მე ვახსენე ჩემს კორრესპონდენციაში, არავითარი საბუთი არ მოუყვანიათ, ამის მოწმათ მომყავს ყველანი, ვინც კი ჰყურობდა მათ სიტყვებს. ვსთხოვ მათ, გამამტყუნონ, თუ ვსტყუვი. მარტო „არა-არათი“ და ხელების ქნევით რომლისამე წინადადების წინააღმდეგობისა არ შეჰფერის იმისთანა კაცებს მაინც, რომელნიც თითონაც განათლებულებათა ჰსთვლიან თავის თავს და სხვებიც ასე უწოდებენ. მარტო „ნწუ!“ და „არა!“ უბრალო საუბარშიაც ურიგონ ითვლება და ისეთის საქმის გასინჯვაში, რომლის სისრულეში მოყვანა აასარგებლოა ან მავნებელი საზოგადოებისათვის, ხომ სრულად ურიგოა და არა-საქმეა.

უ. პ. თუმანიშვილი გაზეთშიაც იმნაირივე საბუთებით შეაარაღებული გამოსულა, როგორც თვით ქალაქის რჩევაში გამოვიდა ისა და იმისთანა მოაზრენი:

„ჩემის ჰაზრით კი ამ შეერთებაში ამ ორი სხვა-და-სხვა საზოგადოების ამხანაგობაში ერთ საზიარო მამულის შესაძენად და შიგ დასაბინავებელად არ იპოვება არა ვითარი საჭიროება, არც სარგებლობა, და მოავალ დროისთვის ეს შეამხანაკება ერთს მამულში დარჩება შესავიწროებელად და სანანურად ქალაქის საზოგადოებისათვის.“

მისაც აქვს პრეტენზია, უფ. თუმანიშვილო, რომ მისი ჰაზრი აქ სიობეთ ითვლებოდეს, რომ დამკიცება არავინ მოჰკითხოს: თქვენ რომელიც ამბობთ თანახმა არა ვარო, ვფიქრობ უსარგებლო და სანანური იქნებაო, და რა საფუძვლით არ ამბობთ, თუ მე, რომელმაც ქვაზე, კირზე და სილაზე მაინც ვუჩვენე?

მე შემეძლო უფ. თუმანიშვილის პასუხი უყურადღებოთ გამეშვა, რადგან ის ვერაფერს ვერ არღვევს, ვერაფერს ვერ ამტკიცებს, მაგრამ რადგანაც ჩვენი

---

ხომ იცი, მაიორის ცოლია. იმ ღამეს ბალი იქნება და ვინ იცის?... მთხოვა ვაყიდვინო, რაც უნდა,—მაგან, საწყალმა არ იცის კარგი ვაჭრობა.

— მაშ კარგი მე დაგიცდით, მინამ გაათავებთ.

— არა, გენაცვა, ნუ იცდი; ჩვენ დიდხან მოგვიხდება ვაჭრობა; აქედგან მე მეთოსთან უნდა წავიდე—მე და ის სხვა-და-სხვა რამის სასყიდლათ წავალთ; მერმე მე და დარიკო ისევ აქ მოვალთ; გარდა ამისა მე მართას მივეცი სიტყვა ვაყიდვინო რაღაცეები მის დისწულისთვის. მგრე, ჩემო ალექსანდრე, მე დღეს შენთან სალაპარაკოთ სულ ვერ მოვიცლი და ნუ გეწყინება, შენ გენაცვალე შენა.

მართლადა და ეხლა ჩემს სალომეს არა სცალიან სალაპარაკოთ! მე მხოლოდ ეხლა იმას ვწუხვარ, რომ სამსახურს მოვცლდი. ვაი თუ უფროსმა მომიკითხა—გამიჯავრდება. წავალ საჩქაროთ..

მეცოდება ღმერთმანი, ჩემი სალომე! ხომ ჰხედავთ, რამდენი საქმე აქვს; სადილი რომ სჭამოს, იმის დროც არა აქვს. არც ერთ ნემსს, არც ერთ ჩარექს შავი არშიისას მთელ ჩვენ უბანში არავინ არ იყიდის, თუ ამის რჩევა არ მიიღო. ან სხვებს მიჰყავთ ეს ქარვასლაში, რადგანაც გამოცდილია ვაჭრობაში, ან თუ არა და თვითონ მიათრევს სხვებს, რომ აჩვენოს ყველას, თუ როგორ ზედმიწევნით იცის ფასი ყველა საქონლისა.

ამის გამო მე მეშინიან, ვინმემ ხუმრობითაც არ უთხრას ამას, ვითომც ერთი და იგივე ნაირი ნივთი ამაზედ უფრო იაფათ ეყიდოს. თუ ღმერთი გრწამთ, ამას ნურავინ ნუ გააგონებთ. ის აენთება, თავში სისხლი აუვარდება უეჭველად, და მოკვდება..

თუ თქვენ ეტყვით ამას, და ის იმისაგან მოკვდა, მაშინ, გამოვიტირებ რა გულითადი მწუხარებით და ცხარის ცრემლით, დავმარხამ ზედ პირ-და-პირ იმ ადგილას, სადაც ქარვასლის მეორე ეტაჟში ფარჩეულობას ჰყიდიან, დავადგამ ძვირფასს ძეგლსა, რომ იგი იყოს მოწამედ იმისა, რა ძვირფასი იყო მისი სიცოცხლე, სასარგო ჩვენი ქვეყნისთვის, სასიამოვნო ბევრთა ვაჭართა და სანუკვშო ბევრი კეთილი დედ-მამის შვილისა! ყოველ დღე მივალ ამასთან სალაპარაკოთ და უ თ ო ო თ ი მ ჩ ვ ე ნ ს ა ქ მ ე ზ ე დ ი მ ა ს თ ა ნ მ ო ლ ა პ ა რ ა კ ე ბ ა ს დ ა ვ ა ბ ო ლ ო ე ბ...

ახლაკი, ჩემო საყვარელო მკითხველნო, მოჰკიდეთ ხელი თქვენ თქვენს საქმესა; მე კიდევ დავბრუნდები სახლში. თუ რო გაათავებთ ამის კითხვას, დაატყობთ, თქვენი ცოლი შინ არ არის, ნუ გეშინიანთ: უთუოდ ისა და ჩემი სალომე თამამშოვის ქარვასლაში იქნებიან, ან, თუ ღამეა, სადმე სტუმრათ ლოტოს უსხედან და იძახიან: დვაცეტ პეტ... სოროკ ოსემ... დესეტ... შესდესიატ პიატ... თუ არა გჯერათ, წაბრძანდით და ნახავთ...

—იიიი—

ბაასის საგანი აზნაურობის კრებაშიაც, რომელიც ამ თვის 14-ს უნდა იქნეს, შეტანილი იქნება, საჭიროთა ვთვლი, რამდენათაც შეიძლება, დაწვრილებით შევატყობინოთ საზოგადოებას საქმის გარემოება—იმ საზოგადოებას რომელიც ნახსენებ წინადადებას, მიღებულს ქალაქის რჩევისაგან, მოისმენს და ერთს რასმე გადასწყვეტს. რასაკვირველია, უ. თუმანიშვილის ზღაპრებსაც უნდა შევეხო.

მე ვამბობდი წინადადების სიტყვით, რომ ქალაქს აქვს საკუთარი ადგილი (მიწა), ქვა, კირი და სილა. უფ. თუმანიშვილს სიტყვა „ადგილი“ გამოუტოვებია და დანარჩენი სიტყვები სასაცილოთ გაუხდია; ამბობს, რომ ჭიჭინაძეს დავიწყებია მხოლოთ, რომ ქუთაისს ამას გარდა აქვს საკუთარი სალორიის საფიცრე ტყე და საკუთარი რიონის წყალი კირის ასარევათ და აყალომიწა აგურის გასაკეთებლად.“ დიაღ, ტყე დამავიწყდა, მაგრამ საფიცრე კი არა, საშეშე, რომელსაც საჭირო კირის დაწვა შეუძლია. ეს იმას „ემგზავსება, რომ კაცს სახლში რამდენიმე საჟენი სილა ეყაროს და მის გამო სახლის აშენება მოინდომოს; ანუ ვინმე პედაგოგმა გაიაღვილოს ასი, ანუ ორასი ყმაწვილის პანსიონის გახსნა იმ იმედით, რომ სახლში ბატები მყამსო და შაგირდებისათვის საწერად ბატის ფრთის კალმის ყიდვა აღარ დამჭირდებაო“, ამბობს უფ. თუმანიშვილი. „ახლა მჯერა ის ამბავი, რომ ერთმა კაცმა, რომელმაც ცხენის ერთი ნალი იპოვნა და თქვაო: „ბარემ სამ ნალსაც ვიყიდიო და მერე ერთ ცხენსა და უნაგირსაო; ასე რომ საკუთარი ცხენი მეყოლება და ცხენის ქირა აღარ დამეხარჯებაო, და იმაზედ კი აღარ უფიქრია, რომ ამდენი რამის საყიდავათ ექვსი შაურის მეტი არ ჰქონია მას ჯიბეშიაო.“

ხომ კარგი შედარებაა, მკითხველო? როგორ მოგწონთ უ. თუმანიშვილის შედარება? ქალაქის ძიწა შენობისათვის საჭირო, ქვა, კირი, სილა, კირის დასაწვავი ტყე, რომელიც საკირე ქვასთან არის და ბანკის მხრით ნახევარ ხარჯში შედგომა შეადარა რამდენსამე საჟენ სილასთან, ბატის ფრთის კალმებთან, ცხენის ნალის მნახველის ექვს შაურთან და შენობისათვის ასაგები ხარჯი—ცხენს, რამდენიმე საჟენი სილით ასაშენებელ სახლთან და ასი-ორასი ყმაწვილის მყოფ პანსიონთან. ნუთუ ჩემგან ნახსენებ ქალაქის საშუალებას და ბანკისას იმდენათ მცირე მნიშვნელობა აქვს სახლის ასაშენებელ ხარჯთან, როგორც ექვს შაურს ცხენის ფასთან, ბატის ფრთებს მთელ პანსიონთან და რამდენსამე საჟენ სილას სახლის ასაშენებელ ხარჯთან? ეგ ბოროტი მოხმარებაა სხვა-და-სხვა გაგონილ ამბების, მეტი არაფერი. თუ ბანკის საზოგადოებაც მიიღებს მოხსენებულ წინადადებას სახლის აშენების თაობაზე, ბანკსა და ქალაქს შეუძლიათ საშუალების შოვნა, საკმაო ამ საქმისათვის. უ. თუმანიშვილის ბატის ფრთები დიდი-დიდი რომ ვსთქვათ, ათას მანეთზე მეტი ხომ მაინც არ ეღირება, და ასი ყმაწვილის პანსიონში შენახვა 20,000 მაინც ეღირება. ათასი მაინც ხომ ოცჯერ ნაკლებია ოცი ათასზე? ნუთუ ქალაქს და ბანკს ასე მცირე საშუალების მეტი არ შეუძლიათ იშოვონ? ბატის ფრთებით პანსიონის გახსნის მაგალითი რაღაც ახირებულია. მაგრამ ეგ ისეთ ხალხში უნდა იყოს შესაძლო, სადაც ბატებისა და სხვა ფრინველების ფრთებისა და ბუმბულის შემოპკვნაში დახელოვნებული კაცები საკმაოთ მოიპოვებიან, რომელნიც, დაფარულნი ახვა-და-სხვა კეთილი საქმის სახელით და სხვა სიტყვებით, ნამდვილი მპტკვნელები არიან; იქ შეიძლება ბუმბულიც გაიკეთონ ყმაწვილებისათვის და თავისთვის მოსასვენებლათაც...

ა. ჭიჭინაძე

ქუთაისი, 2 მაისს.

(შემდეგი იქნება)

# განცხადებანი

დღეს, კვირას, შუა დღეზე, თფილისის კრებაში (კლუბში) იქნება

**მუზიკალური დილა**

მუზიკალურ შკოლისა

რომელშიაც ხსენებული შკოლის შაგირდებს გარდა მიიღებს აგრეთვე მონაწილეობას **ი. ს. პაშკოვსკი.**

(1—1)

30-ს აპრილს შეკრებილ იყვნენ დამწესებელნი **ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა საზოგადოებისა, ღარიბთა მოსწავლეთა შესაწევრად** შედგენილისა,—და გადაჰსწყვიტეს, რომ დროებითის კამიტეტის სახელით მოიწვიონ **საზოგადო კრება 8-ს მაისს** $7^1/_2$ საათზედ სალამოთი თავად-აზნაურთა ბანკის სადგომში **ამოსარჩევად მოთანამდე პირთა** საზოგადოების საქმეების გამგეობისათვის.

დროებითი კამიტეტი ვალად ჰრაცხს ამის გამოცხადებას ზემოხსენებულის საზოგადოების წევრთა საცოდნელად.

(3—3)

| რკ. გზა. | დილა. | | საღამ. | | II კ. | | III კ. | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| თფილისი . | 9 | 21 | 5 | 18 | | | | |
| მცხეთა. . . | 10 | 11 | 6 | 27 | - | 68 | - | 38 |
| გორი . . | 11 | 58 | 9 | 43 | 2 | 40 | 1 | 33 |
| ხაშური . . | 1 | 29 | 11 | 57 | 3 | 92 | 2 | 18 |
| სურამი. . . | 1 | 44 | | | 4 | 42 | 2 | 46 |
| ყვირილა . | 5 | 49 | | | 5 | 81 | 3 | 23 |
| რიონი. . . | 6 | 47 | | | 6 | 75 | 3 | 75 |
| სამტრედია . | 7 | 41 | | | 7 | 73 | 4 | 29 |
| ახ.-სენაკი . | — | — | | | 8 | 57 | 4 | 76 |
| ფოთი. . . | 9 | 40 | | | 9 | 75 | 5 | 42 |
| ფოთი . . | 9 | 13 | | | | | | |
| ახ.-სენაკი. | — | — | | | 1 | 18 | - | 66 |
| სამტრედია. | 11 | 16 | | | 2 | 6 | 1 | 14 |
| რიონი . . | 12 | 13 | | | 3 | 4 | 1 | 69 |
| ყვირილა. . | 1 | 18 | ღამე | | 3 | 98 | 2 | 21 |
| სურამი. . . | 5 | 12 | 1 | 10 | 5 | 33 | 2 | 96 |
| ხაშური . . | 5 | 39 | 1 | 37 | 5 | 84 | 3 | 24 |
| გორი . . | 7 | 5 | 4 | 8 | [illegible] | 36 | 4 | 9 |
| მცხეთა . | 8 | 50 | 6 | 59 | 9 | 8 | 5 | 4 |
| თფილისი . | 9 | 31 | 7 | 56 | 9 | 75 | 5 | 42 |

## ტელეგრაფი

| ოცი სიტყვა თფილისიდამ: | მ. | კაპ |
|---|---|---|
| ქუთაისს, ფოთს . . | 1 | — |
| გორს, დუშეთს, სიღნაღს | - | 50 |
| როსტოვს, ოდესას, მოსკოვს | 2 | — |
| პეტერბურგს, ვარშავას . . | 2 | — |
| ოსმალეთში, შვეიცარიაში | 3 | — |
| იტალიაში და საფრანგეთში. | 3 | 50 |
| ინგლისში . . . . . . . . . | 3 | 75 |

## ფოშტა

ა) თფილისიდამ: სამზღვარ გარეთ, ქუთაისს, რუსეთს—ყოველ დღე კვირას გარდა. ზუგდ. ორშ. და სამშ. ოზურ.—პარასკ. და ორშ. კახეთს—სამშ. და შაბ. ბ) ქუთაისიდამ: თფილისისა და ფოთისაკენ—ყოველ დღე, კვირას გარდა. ოზურგეთს—ორშ. და პარასკ.

| წიგნის გაგზავნა რუსეთში და სამზღვარ გარეთ: | კაპ. |
|---|---|
| ღია წიგნის . . . . . . . . . | 4 |
| დაბეჭდილის (სამი მისხალი) . | 8 |

## მაზარდა

| თფილისი, 4 მაისს. | მან | კაპ |
|---|---|---|
| ფქვ. თ. ბანჯისა, ფთ. | 2 | — |
| ფქვილი წითელი . . | 1 | 70 |
| ქერი ფუთი . . . | 1 | 40 |
| ბამბა ერევნისა, ფუთი . | 7 | 50 |
| — ამერიკისა, ფუთი . . | 8 | 50 |
| გაპენტილი ბამბა ფუთი. | 11 | — |
| მატყლი თუშური ფთ. | 6 | 20 |
| —თარაქამისა ფთ. . | 3 | 60 |
| აბრეშუმი ნუხური სტ. | 2 | — |
| ქონი, ფუთი. . . | 5 | 40 |
| ქონის სანთელი ფუთი. | 8 | — |
| სტეარინის სანთელი, ფ. | 13 | — |
| ხორცი ძროხისა, ლიტ. | — | 81 |
| —ცხვრისა, ლიტრა . | — | 81 |
| სპირტი, ვედრო . . | 5 | 20 |
| შაქარი, ბროც. ფუთი . | 8 | 30 |
| — ფხვნილი ფუთი . . | 6 | 20 |
| ყავა გრგვალი, გირვ. . | — | 70 |
| ზეთი ქუნჯუთისა ფუთ. | 12 | — |
| თამბაქო, საშუალო ფუთი | 8 | 50 |

## თფილისის სამკურნალო

ერევნის მოედანზე, წინამძღვაროვის სახლებში.

ავათმყოფებს მიიღებენ ყოველ დღე, კვირას გარდა, დილის 9—1 მდინ.

**ორშაბათს:** ქიუჩარიანც—ხირურგი, გარალევიჩი—შინაგ. ავათმყ.

**სამშაბათს:** ვერმიშევი შინაგ. ავათმყოფობის, რეიხი და ბახუტოვი —ბებიობის თვალის.

**ოთხშაბათს:** ვერმიშევი—შინაგანი ავათმყოფ., ბაკეტი—გულის და ნერვების ავათმყოფ.

**ხუთშაბათს:** ვერმიშევი — შინაგანი ავათმყოფ. ბავრინსკი—ქალის და ობრეხტი—კბილის.

**პარასკევს:** ვერმიშევი—შინაგ. ავათმყოფ. ბახუტოვი და ქიუჩარიანცი.

**შაბათს:** ვერმიშევი შინაგანი ავათმყოფობის., რეიხი—თვალის ავათმყოფ. და ბაკიტი—გულის და ნერვების.

*Дозволено цензурою. Тифлисъ, 6 Мая 1878 г. Типографія Меликова.* გამომცემელი ს. მელიქიშვილი. რედაქტორი ს. მესხი.